

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლინგვისტიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<i>ფილოლოგიის დოქტორი</i>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამის მოცულობა - 180 კრედიტი: სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო (45) და არჩევით (15) კურსებსა და სემინარებს (დარგში და ქვედარგში), ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს 2 კოლოქვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს (80 კრედიტი).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის მომზადება. დოქტორანტს უნდა ჩამოუყალიბდეს ლინგვისტიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა, გამოუმუშავდეს სამეცნიერო სფეროს სისტემური გაგება და პრობლემების საკუთარი ხედვა. უნდა ფლობდეს ამ სფეროში წარმატებული კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელ ჩვევებსა და მეთოდებს, უნდა გააჩნდეს კვლევის სრულფასოვანი პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რაც უნდა დაადასტუროს ორიგინალური კვლევის განხორციელებით; მან უნდა შეძლოს უმაღლეს სასწავლებელში ძირითადი სალექციო კურსების მომზადება და სწავლება. პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება ენათმეცნიერებაში; აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი ფართოპროფილის ლინგვისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>I ცოდნა და გაცნობიერება: აქვს ზოგადი და დარგობრივი ლინგვისტიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შემოქმედებითად იაზრებს არსებულ ლინგვისტიკურ ცოდნას (თარგმანმცოდნეობაში, რუსულ ლინგვისტიკაში, ქართულ ლინგვისტიკაში) და ცდილობს ახლის დანერგვას სწავლებასა და კვლევაში.</p> <p>II ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ხელმძღვანელობა (თარგმანმცოდნეობაში, რუსულ ლინგვისტიკაში, ქართულ ლინგვისტიკაში), კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა.</p> <p>III დასკვნის უნარი: შეუძლია ჩატარებული მეცნიერული კვლევის საფუძველზე (თარგმანმცოდნეობაში, რუსულ ლინგვისტიკაში, ქართულ ლინგვისტიკაში), არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება და მათი შედეგების განზოგადება; შეუძლია ლინგვისტიკური ინფორმაციის ინოვაციურის ინთეზი; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p> <p>IV კომუნიკაციის უნარი: შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენაზე აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან დასაბუთებულად და გარკვევით დაიცვას თავისი მეცნიერული პოზიცია. (თარგმანმცოდნეობაში, რუსულ ლინგვისტიკაში, ქართულ ლინგვისტიკაში);</p> <p>V სწავლის უნარი: აქვს ლინგვისტიკაში შემენილი უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის (თარგმანმცოდნეობაში, რუსულ ლინგვისტიკაში, ქართულ ლინგვისტიკაში) გაღრმავებისა და სრულყოფისთვის მზაობა;</p> <p>VI ღირებულებები:</p>

	ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ინოვაციური მეთოდების შემუშავება და კვლევა.
შეფასების წესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.</p>
საკონტაქტო პირი	<p>ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი მამია ფაღავეა ტ. 7-64-93; 899 38-06-26; 1-02-70. mamia.p@mail.ru</p> <p>ბსუ-ს სლავისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინე აროშიძე (+995) 77 14 10 30 marina.aroshidze@yahoo.com</p> <p>რსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი</p>